



**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის №008/13¹
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა**

სოფიკო პეტრიაშვილი (სტუდენტი)

ფაქტები

ადვოკატი ნ.მ და ადვოკატი გ.მ სამოქალაქო დავაზე წარმოადგენდნენ პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარეებს. ამასთანავე ადვოკატი ნ.მ არის არასამეწარმეო იურიდიული პირის „უ.გ-ის“ დირექტორი, რომლის დაცვის მხარესაც წარმოადგენს პროცესზე. ადვოკატმა გ. მ.-მ ნ. მ.-ს მიერ წარდგენილ სასამართლო შესაგებელთან დაკავშირებით გამოთქმულ მოსაზრებაზე გააკეთა შემდეგი სახის განცხადება: „ღიმილის მომგვრელია ბ-ნ ნ.-ის განცხადება; საერთოდ გაუგებარია, რა დეფინიცია შემოაქვს ბ-ნ ნ.-ს ქართულ რეალობაში ან ვინ მიაჩნია მას უფლებადამცველის სტატუსი?“ აღნიშნული განცხადებიდან გამომდინარე ნ.მ-მ საჩივრით მიმართა ეთიკის კომისიას.

სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(გ), აპეკ-ის 7 და 10.1 მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე. ეთიკის კომისია იზიარებს ადვოკატ გ. მ. განცხადებას იმის თაობაზე, რომ მის მიერ შესაგებელზე გამოთქმული მოსაზრება - „ღიმილის მომგვრელია ბატონი ნ.-ის განცხადება; გაუგებარია რა დეფინიცია შემოაქვს ბატონ ნ.-ს ქართულ რეალობაში, ან ვინ მიაჩნია უფლებადამცველის სტატუსი,“ ექვევა გამოხატვის თავისუფლებით დაცულ სფეროში, რადგან არ არის შეურაცხმყოფელი და არ ლახავს პირის ღირსებას. ადვოკატ გ. მ. განცხადება შეიცავს კოლეგიის მიერ წარდგენილ შესაგებელში გამოთქმული მოსაზრების შეფასებას. გამოხატვის თავისუფლების დაცვის მაღალი სტანდარტიდან გამომდინარე, ადვოკატს უფლება ჰქონდა, რომ მოცემული ფორმით გამოეთქვა საკუთარი მოსაზრება. ადვოკატ გ. მ. მიზანი აღნიშნული შეფასების გაკეთებისას არ იყო კოლეგისათვის შეურაცხყოფის მიყენება, არამედ ემსახურებოდა კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და მიმართული იყო საქმის წარმატებით დასრულებისაკენ. გამოხატვის თავისუფლება ექვემდებარება შეზღუდვას, თუკი სახეზეა კონკრეტული პირის უფლებისა და კანონით დაცული ინტერესის ხელყოფა. ეთიკის კომისიამ გ. მ.-ს მიერ პროცესუალური მოწინააღმდეგის პოზიციის შეფასებისას გამოთქმულ მოსაზრებაში ვერ აღმოაჩინა ადვოკატ ნ. მ., როგორც მოპასუხის ან როგორც კოლეგის უფლებისა თუ ინტერესის ხელყოფის ფაქტი. შესაბამისად, ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მითითებას გ. მ. მხრიდან კოლეგის განზრახ შეურაცხყოფაზე. მიუხედავად იმისა, გ. მ. მიერ გაკეთებული შეფასება მიმართული იყო ნ. მ., როგორც მოპასუხისაკენ, თუ ნ. მ., როგორც ადვოკატისაკენ, მისი ქმედება არ ჩაითვლება პროცესის მონაწილე მხარის შეურაცხყოფად.

დასკვნა:

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიმართ არ არსებობდა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

¹ <https://gba.ge/pdf/5c514a72f1f4c.pdf/5c514a72f1f4c.pdf>